ნაციონალისტი

ოთხშაბათი ოქტომბრის 6 1920 წ. ნაციონალური და აგრარული პოლიტიკის ორგანო №. 6 ფასი 10 მან.

მისამართი:
რედაქციის და კონტორის: დამფუძნებელი კრების (სახახლის ქ.) № 5. ტელეფონი 19-66.
რედაქციისა: წუნეთის ქ. № 17. ტელეფონი № 22.

ხელის მოწერა:
წლის დამლევამდე—750 მან. (ფოსტ. ხარჯით).
ერთი თვით ხელის მოწერა არ მიიღება.

განცხადებანი
მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი ჰეტიტი 1 გვერდზე—15 მან. 3-4-გვერდზე—10 მან. სამგლოვიარო განცხადება 30 სტრიქონი—300 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეფუძნ ეპატონ ეს ასული ვაჩაძე შვილებით, რძლით და სიძეებით აუწყებს ნაცნობებს რომ გარდაცვალების წლის თავზე 7 ოქტომბერს ბოფელ ბაკურციხეში წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ

ვლადიმერ დავითის ძე ვაჩნაძის

ხელის მოსახსენებლად.

საშხედრო სამინისტროს სტამბის მუშები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ყველა ამხანაგებს, რომ კვირას 3 ოქტემბერს ვერაგულად იქმნა მოკლული ამხანაგი

არჩილ კავალიშვილი

მიცვალებულის გამოსვენება მოხდება თავის ბინიდან (სიონის შესახვევი № 6) ხუთშაბათს 7 ოქტომბერს დილის 11 საათზე სამების ეკლესიაში, წირვა—პანაშვიდის შემდეგ დაკრძალვა პეტრე პავლეს სასაფლაოზე, პანაშვიდი მუდამ დღე 5-7 საათამდე.

გლეხთა საყურადღებოდ

დამფუძნებელი კრების ნაციონალისტთა ფრაქცია

აცხადებს, რომ იგი საითანადო დახმარებას აღმოუჩენს ხოფლის მცხოვრებთ გლეხებს ყოველგვარ საერთო—საზოგადო—საჭიროებათა (აღგილ მამულის, ს ურსათის, ეკლესიის, სკოლის, გადასახადების და სხვა საქმეების), ადგილზე დასაკმაყოფილებლად საითანადო დაწესებულებანი ეცათ იიერ.

ყოველგვარი ცნობები, შეკითხვანი და სხვა ამასალა მიიღება თბილისში: „ნაციონალისტის“ რედაქციაში დამფუძნ. კრების ქ. №5

პარტიულ დელეგატთა სურვილისამებრ პარტიის კონფერენცია გადაიდო და შესდგება 23 ოქტომბერს
(ძველი სტილით 10 ღვინობისთვეს)

საქართველოს

ნაციონალური პარტიის

პირველი

კონფერენცია

შესდგება თბილისში 23 ოქტომბერს (ღვინობისთვის 10 ძვ. სტ.)

დღიური წესრიგი:

I. მთავარი კომიტეტის და ფრაქციის მოქმედების მოხსენებანი.
II. პროგრამისა და წესდების განხილვა.
III. ხამაზრი მოხსენებანი (დელეგატებისა).
IV. ბიერობანი და საპარლამენტო არჩევნების საკითხები.
V. არჩევნები მთავარი კომიტეტისა
VI. მიმდინარე საკითხები.

კონფერენციის წევრთა რიცხვად დაწესებულია 100

კონფერენციის წევრებად უნდა იქნან არჩეული ის პირნი, რომელნიც დასახელებულ იქნებიან პარლამენტის საარჩევნო სიაში.

კონფერენციის დელეგატთა ალაგები განაწილებულია მაზრებს შორის დამფუძნებელი კრების არჩევნებში მიღებულ ხმების მიხედვით (ასზე—ერთი)

მთავ. კომიტ. პრეზიდიუმი

მინისტრ ნ. ხომერიკის ცირკულიარის გამო.

ამ დღეებში გამოვიდა ბიწად მოქმედების მინისტრის, ბ-ნ ნ. ხომერიკის, ცირკულიარი სამაზრო ერობათა გამგეობისადმი.

ცირკულიარი რესპუბლიკის მოსავლის გადამჯრობესებას შეეხება.

ბევრი ჭეშმარიტებაა ამ ცირკულიარში და იგი უსათუოდ საყურადღებოა.

მთავარ ყურადღებას მოსავლის გაუმჯობესობაში მინისტრი აქცევს სათესლე მასალას და ამბობს რომ სუფთა და გადარჩეული მარცვალი ხვნა-თესვაში, სხვა გაუმჯობესობის გარდა, საგრძნობლად უმატებს მოსავალს; ეს უეჭველია სიმართლეა და ეს იცის არა სპეციალისტმაც; აგრონომობა არაა საჭირო იცოდე რომ კარგი პურის თესლი კარგს პურს მოიყვანს ცუდი ცუდს. ეს იცის ჩვეულებრივმა მოშაკვდავმა მიწის მუშამ, მაგრამ მას არა აქვს საშუალება სათესლე პურის განწმენდისა.

მინისტრი ბრძანებს: გამოიცეს საკანონმდებლო დადგენილება სათესლე პურის კარგად გაწმენდისა, თუნდაც რომ გაწმენდა ხდებოდეს ხელის საშუალებითო.

გვეპატიონ, და აქ საქმის ცოტა დაუკვირვებლობაა თორემ როგორ შეიძლებს ოჯახი სათესლე პურის თითოთ გარჩევას? სათესლე პური ნახევარ გირვანქა ბრინჯი ხომ არ არის, რომ რომელიმე ოჯახის წევრმა ბავშვმა ან მოუცმა გაარჩიოს?

ქართლში ისეთი ოჯახებია, ზოგი, რომელიც 150 ფუთ პურსა სთესავს და ამა ერთი მიბრძანეთ, რამდენ ხანს და რამდენმა ბავშვმა და ქალმა უნდა სწმინდოს და არჩიოს ხელით, რომ სათესლე პური დროზე დამზადდეს? ეს შეუძლებელია;

რაც შეეხება საწმენდ მანქანებს, ეს აუცილებლად საჭიროა, მაგრამ ჩვენ არა გვაქვს იმედი, რომ ეს მანქანები ოდნავათაც კი დააკმაყოფილებენ საქართველოს მხვნელ ფესველებს.

სახელმწიფო მაშულებში შეიძლება მართლა ბევრი სამეურნეო მანქანები იყვეს, მაგრამ დიდ უმრავლესობას ჩვენი ხალხისას ამით ჯერ არ უსარგებლია. კერძო პირებს, თითო ოროლა მემამულეს თუ ჰქონდა სამეურნეო მანქანები, ისიც რევოლიუციამ შეიწირა და ახალ მანქანებს კი ადარსაიდან ვხედავთ.

სჯობდა, ჩვენს მთავრობას იმის მაგივრ რომ რუსეთში გასაგზავნ მუშაობა დელეგაციებმა ფიქრობდეს და მილიონები ჰქონდეს ამისთვის გადადებული, სამეურნეო იარაღი შეეძინა...

ჩვენ გვინდა ისიც ვიცოდეთ, რამდენად ადვილია დღევანდელ ხელოვნურად შექმნილ პირობებში ერთი მაზრიდან მეორე მაზრაში ან აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოში სათესლე პურის გატანა.

მართალია მინისტრი გვპირდება სათესლე პურის რკინის გზებზე დაუბრკოლებლივ გადატანას, მაგრამ ჩვენ აქაც იქვი გვეპარება, რადგან ყოველი კერძო პირი ვერ მიაღწევს მიწადმოქმედების მინისტრამდე და ვერც დაიჯერებს, რომ მას მართლა სათესლე პური მიაქვს. ამიტომ რესპუბლიკის საზღვრებში ჭინახულის გადატან-გადმოტანაში საჭირო არ უნდა იყვეს რკინის გზებზე რომელიმე მინისტრის დახმარება.

მ. იმხნელი.

პრესსა.

ოსმალთა შემოტევაზე.

„ერთობა“ სწერს:

„სარიყამიშის დაჭერით ქემალფაშას გზა ეესნება ყარსისაკენ. და ყარსი ხომ მუდამ ითვლებოდა ამიერ კავკასიის კარად. სომხეთის მხრით. ყარსის ხელში ჩაგდება ოსმალთა ლაშქრის მიერ პირდაპირს საფრთხეს ბადებს არა მარტო სომხეთისათვის, არამედ საქართველოსათვისაც, რადგან ყარსის აღებით ოსმალთა ჯარი პირდაპირი გზით წამოსვლას შესძლებს ერთის მხრით გუმბრზე და იქიდან თფილისზე, მეორე მხრით არტაანი-ახალქალაქზე და იქიდან ისევ თფილისზე.

სომხეთის ცნობებიდან ჩანს, რომ ოსმალეთის ჯარს მეორე იერიში მოიქვს ოლთისის მხრით... ეს გარემოებაც საშიშ მდგომარეობაში აგდებს არტაანს. და ჩვენ ვიცით, რა მნიშვნელობა ექნება საქართველოსათვის არტაანის დაჭერას ოსმალთა მიერ: გარდა იმისა, რომ იქიდან პირდაპირი გზა იქნება თფილისზე, დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ არტაანის ხელში ჩაგდება ოსმალთა მიერ საფრთხეში აგდებს მთელს ბათომის მხარეს: ეს მხარე შემო-

...ტკიცებული ჩვენთვის მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს, როდესაც ჩვენს ხელშია არტაანი.

ამგვარად სომხეთის ტრაგედია მარტო სომხეთს არ ეხება: იგი საქართველოსათვისაც შეიძლება საბედისწერო გამოდგეს. სულ რაღაც ორი თვეა, რაც ჩვენი ქვეყანა შედარებით სიწყნარეს განიცდის გარეშე მტრისაგან. მაგრამ ახლო მომავალში მოსალოდნელია ახალი ფრონტი, რომელმაც შეიძლება კიდეც ერთხელ მოითხოვოს საქართველოს დემოკრატიის მხრით მთელი ჩვენი ძარღვების დაჭიმვა".

უცხოეთის დეპეშები

საფრანგეთის ჯარი რუსეთისათვის.

საფრანგეთის ძლიერი ჯარი კონსტანტინოპოლში სდგას და უცდის მომენტს, როდესაც მას შეძლება ექნება გადმოისროლოს რუსეთის და უკრაინის წინააღმდეგ მეამბოხეებთან ერთად. საფრანგეთის სამხედრო გემები უკვე ოდესასთან არიან და მზად არიან თავდასხმელად.

კავშირი ბოლშევიკების წინააღმდეგ.

ქრისტიანია. 25 სექტ. ვენიდან იუწყებიან: უნგრეთის მთავრობამ წინადადება მისცა ანტანტას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ახალი კომბინაციის მოწყობის შესახებ. ამ კომბინაციაში ჩათრეული გერმანიაც. ამასთანავე ანტი-ბოლშევიკურ ძალებისადმი დახმარებას პირდებიან. ამტკიცებენ რა სიმართლეს ამ ხმებისას მოსკოვის „იზვესტია" აღნიშნავს, რომ ანტანტის და გერმანიის შორის მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებენ რუსი კონტრ-რევოლუციონერებიც. ისინი ცდილობენ შექმნან სამღვთო კავშირი რუსეთის წინააღმდეგ..

პოლონეთის ცნობები

ვარშავიდან მოსული ცნობით ოქტომბრის 2 პოლონეთიდან მიღებულ ცნობით მათ აუღიათ ქალაქი ნოვოგროდსკი. ბოლშევიკები რომლებიც წარსულ კვირას ბელოსტოკთან, ლომჟაცასთან და ზამოსტიში იყვნენ, საბჭოთა ჯარებს ვანადგურებთ. უკანასკნელ ხანების ბრძოლებში პოლონელებმა ტყვედ წამოიყვანეს 42 ათასი კაცი, ხელთ იგდეს 169 ზარბაზანი, 990 მიტრალიეზი და დიდძალი სამხედრო მასალა.

ვრანგელის ცნობები

ოქტომბრის 2 (რადიო) იუწყება: დაწვრილებით სექტემბრის 28—29 ვოლნოვახსკის რაიონში წითელ არმიელთა განადგურების ამბავი ჩვენ სავსებით გავანადგურეთ დონის საბჭოთა მეორე ქვეითა დივიზია და მე-17 ცხენოსანი დივიზია.

ბოლშევიკების ცნობები.

ნიკოპოლის რაიონში ნეშანის აღმოსავლეთში ჩვენი ჯარები განაგრძობენ უკან დახევას. ნისვიჟის ჩრდილოეთით სწარმოებს ბრძოლა მოპირდაპირის ნაწილებთან. დუნინეცის სადგურის რაიონში მწვავე ბრძოლებია. ჩვენი ნაწილები განაგრძობენ შეტევას ნოვგოროდ-ვოლინსკზე. ბრძოლა ლეტიჩევის დასავლეთ და მის ჩრდილოეთით გრძელდება. ეკატერინოსლავის რაიონში ჩვენი ჯარები მოპირდაპირეს ეკატერინოსლავ-სინელნიკოვის რკინის ხაზზე იბრძვის. იუზოვკის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა მიაყენა რა დიდი ზარალი მოპირდაპირეს, დაიკავა სადგური დოლინას ჩრდილოეთ დასავლეთის ხაზი.

სპარსეთში.

თეირანიდან მოსული დეპეშის თანახმად სპარსელებმა რეშტი აიღეს.

ბოლშევიკების ელჩი იტალიაში.

რომი. 25 სექ. „ტრიბუნა" იუწყება: საბჭოთა მთავრობა იტალიაში კომერციულ წარმომადგენლად ვოროვსკის მაგივრად ლიტვინოვს ნიშნავს. მოკავშ. სახელმწიფოები წინააღმდეგი არიან ამ დანიშვნისა, ვინაიდან ლიტვინოვი გამოძევებული [illegible] არისო. იტალიაც დაეთანხმა მოკავშირეებს. შესაძლებელია კრასინი დაინიშნოს კომერციულ წარმომადგენლად.

გაფიცვები იტალიაში.

რომი. 26 სექ. პრესის ცნობით იტალიის პოლიტიკური მდგომარეობა უმჯობესდება. მთავრობამ გადაწყვიტა მუშებისა და მრეწველების დამოკიდებულებაში ჩარევა. წითელი დროშები თითქმის ყველა ქარხნიდან გაქრა. სოც. აღმასრ. კომიტ. ტურინში აფრთხილებს თავის წევრებს ანარქიულ გამოსვლას ნუ მოახდენთო. პრესა კმაყოფილებით აღნიშნავს ამ კრიზისის დასრულებას „კორიერა დე ლასერას" აზრით, იტალიის მუშებმა დიდი გონიერება და სიფრთხილე გამოიჩინეს. „ჯურ. და იტალია"-ს ცნობით კრიზისის დასრულება მთავრობის ჩარევამ გამოიწვია.

რუსები გერმანიაში.

პარიზი. 29 სექ. მიღებული ცნობებით რუსეთის მუშათა დელეგაციის წევრები ქრისტიანიიდან გერმანიისაკენ წავიდნენ.

ვრანგელის მიწის კანონი

ვრანგელის სამდგილმამულო რეფორმის კანონების ავტორმა სენატორ გლინკამ განაცხადა: „ჩვენი სამდგილმამულო საკითხი არ არის რევოლუციონური. იგი შეკრულია ძველს სამდგილმამულო კანონებთან და ეწინააღმდეგება სოციალისტურ კანონებს. იგი მამულს აძლევს არა „სახელმწიფოს არა, ხალხს, არამედ შრომელთ, ცალკე მეურნეთ.

ამასთან ახალი კანონს რასაკვირველია სულაც ვერ მივამსგავსებთ სტოლიპინის რეფორმებს. მართალია უკანასკნელის ძირითადი საფუძველი იყო — შექმნა იგივე წვრილი მესაკუთრე მემამულეებისა, მაგრამ მეთოდი განხორციელებისა აქ სრულიად სხვანაირია. აქ ხელმძღვანელობა და ხელმწიფობა ეკუთვნის თითონ ხალხს. გენერალი ვრანგელი კატეგორიულად ანდობს სამდგილმამულო საკითხის გადაწყვეტას თვითონ გლეხობას.

მთავრობის განკარგულებით მიწა ეძლევათ გლეხებს „სამუდამო მტკიცე საკუთრებად", სხვათა შორის ეპიტეტს „მტკიცეს" ხაზს უსვამენ ამით კანონმდებლებს უნდათ თავისი რეფორმის სიმტკიცე დაადასტურონ.

ვის უნდა ვადაეცეს მიწა? კანონის მერვე მუხლი ამბობს: მიწები და მამულები: სახნავი, სათიბი, საძოვარი, სახელმწიფო, სახელმწიფო სამდგილმამულო ბანკისა და კერძო რომელსაც კი თვით მესაკუთრე არ ამუშავებს, გადაეცემა იჯარით ან ძალით წვრილ-წვრილ ნაჭრებად...

მეორე მუხლი შეიცავს მესაკუთრეთა კატეგორიების აღრიცხვას. ამ მესაკუთრეთ უნდა დაუბრუნდეს ძალით წართმეული მათი მიწები. რაოდენობა მამულისა უნდა გამოარკვიოს სამდგილმამულო საბჭოებმა.

რაოდენობა დამოკიდებულია იმისაგან, თუ ვინ რამდენს ამუშავებს ყოველ შემთხვევაში მამულს რომელსაც საგლეხო ბანკის საშუალებით უნდა შეიძინონ, არ შეუმცირებენ.

ვინ არიან სამდგილმამულო საბჭოებში?

1. ყველა „ვოლოსტის" სოფლის მამასახლისები, 2, ამორჩეულები სოფლის სხვა სამდგილმამულო და ამხანაგობების წარმომადგენლები იმათი მეურნიდან, რომელნიც დამოუკიდებლად აწარმოებენ თავიანთ მეურნეობას 3. ის პირნი, რომელნიც არ ეკუთვნიან არც ერთ სასოფლო ამხანაგობას, ხოლო რომელნიც განსაკუთრებულ მეურნეობას აწარმოებენ. განურჩევლად წოდებისა. 4. უფროსი წარმომადგენლები საეკლესიო კრებულისა და სამრევლოებისა ყველა სარწმუნოებებისა და სამრევლოებისა ყველა სარწმუნოებების და სასწავლებლების, რომელნიც კი აწარმოებენ მეურნეობას და 5. წარმომადგენლები ხაზინიდან. სახელმწიფო სამდგილმამულო ბანკების, ქალაქების, ერობების და მასწავლებლების საქველმოქმედო საზ—ბების და სხ. საზოგადოებებიდან თითო წარმომადგენელი [illegible] დაწესებულებიდან ამხანაგობიდან. თუ ოლქში მათ სამეურნეოდ მამულები აქვთ".

(„ვ. გ.")

საფრანგეთის ფლოტის მოსვლის გამო

გაზეთი „კომუნისტი" სწერს:

„საფრანგეთის ბანკირების სამხედრო ფლოტი შავ ზღვაში შემოსვლას აპირებს. მისი დანიშნულება ზურგი გაუმაგროს მეფის გენერალს, ბარონ ვრანგელს რუსეთის მუშების და გლეხების წინააღმდეგ აგრეთვე ყუმბარები დაუშინოს ზღვისპირა მდებარე ქალაქებს—ნიკოლაევს, ნოვოროსიისკს და სხ. დაუმორჩილოს ამ ქალაქების მშრომელნი შავი რეაქციის მატარებელ გენერალს. მაგრამ მარტო ამით არ დაკმაყოფილდება საფრანგეთის გაცოფებულ მეკ-ხშეების ფლოტი— ის დაისადგურებს და ბრძანებლობას იწყებს შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებზედაც.. ის მიადგება უწინდებურათ ბათუმს, ფოთს, სოხუმს. ის მიიღებს თავის გემებზე ყველა დენიკინელთ, ყველა მთიელ კონტრ-რევოლუციონერთ, რომლებიც კიდევ დარჩენილან საქართველოში და გადაიყვანს ვრანგელთან მისი შავი ლაშქრის გასაძლიერებლად. მოსალოდნელია, ამაზე შორსაც წავიდნენ საფრანგეთის ადმირლები და მოითხოვონ სხვა სახის და ფორმის დახმარება—ნებაყოფლობითი თუ ძალდატანებითი...

რას ფიქრობენ ამ დროს ქართველი მენშევიკები, რას ურჩევენ თავის მრევლს?..

...აპირებს თუ არა ეს „ხალხური" პარტია და თუ აპირებს—რა სახით წინააღმდეგობის გაწევას და საქართველოს დამოუკიდებლობის ნამდვილად დაცვას საფრანგეთის იმპერიალისტებისაგან?..

...რუსეთის მუშების დამხმარე კომიტეტების შედგენა, ან ვრანგელის დამხმარე კომიტეტად გადაქცევა—ასე დგას საკითხი ქართველ მენშევიკების წინ"...

უკანასკნელი ცნობები

ოსმალები 15 ვერსზე არიან არტაანიდან, სოფ. ტახტაკრანში.

არტაანის სომხის გარნიზონი იხევს საქართველოს საზღვრისკენ, დევნილი ადგილობრივ ქურთებისა და თათრებისაგან. ქ. არტაანის სომხის მცხოვრებნი საქართველოს ტერიტორიას შემოეხიზნენ;

სომხების ცნობით, მათ სარაყამიშში გაუმარჯვიათ; ოსმალების შეტევა გრძელდება ყულპთან და ნოვოსელიმთან.

თბილისში სომხეთის მოქალაქეთა მობილიზაცია გამოაცხადეს.

ქრონიკა.

გვარდიის ყრილობა

სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა, რომლის მოწვევასაც ოქტ. 10 ფიქრობენ, დროებით გადაიდო 24 ოქტომბრისათვის, სხდომა გაიხსნა დილის 10 საათზე ზუბალოვის სახალხო სახლის შენობაში.

საქართველოს კონსული კავკავში

კავკავის გაზ. „კომუნისტი" № 141-ში მოწინავეში სწერს:

„აგენტურის ცნობებით, ნ. კ. გაიგო, რომ საქართველოს კონსული კავკავში დიდ სპეკულიაციას აწარმოებს. საქართველოს საკონსულოდან დიდი ქრთამით დიპლომატიური პაკეტის სახით აგზავნიან საქართველოში რუსეთის ბურჟუაზიის განძეულობას.

სამი დღის წინათ, მათირის ნივთების ზერელეთ გაჩხრეკის დროს აღმოჩნდა ორი მილიონზე მეტი ღირებულობის ნივთები საგარეო საქმეთა მინისტრის—გეგეჭკორის სახელზე გაგზავნილ პაკეტებში, აღმოჩნდა: ხუთი ფუთი ვერცხლი და ვერცხლის ნივთები, 10 გირვანქა ოქრო, 5 მილიონი ნიკოლოზის და დონის ფულები, აუარებელი, ძვირფასი ქვები და სხ."

სახელმწიფო კონტროლში

პირველ ოქტომბრიდან სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი კ. ანდრონიკაშვილი გაემგზავრა დასასვენებლად ორი კვირით შვებულე-

ბაში. ხახელმწიფო კანტროლის საქმეთა გამგებლობა დაეკისრა კონტროლის საქმე დირექტორს ი. სმირნოვს.

გვარდიელთა სპეკულიაცია.

პროფესიონალურ საბჭოში დაუდგენიათ: მიქცეულ იქნეს გვარდიის მთავარ შტაბის ყურადღება იმ გვარდიელებისადმი, რომელნიც ბაზარზე სპეკულიაციას აწარმოებენ.

ეკლესიის დანგრევა

ახალთუშნის საკურორტო კომისიას ქუჩების და ხეივანის გასათართოებლად ახალთუშნის მოწყობა გაშენებისათვის მსჯელობა ჰქონია კათოლიკეთა ეკლესიის დანგრევაზე. ეს წინადადება კომისიაში შეუტანია ქიშს გოპაძეს, რომელსაც მიმხრობია მმართველი ნიკოლაიშვილი.

(ს. ს.)

ბათუმის ამბები.

უცხოელთა ესკადრა.

პორტში დგას უცხოელთა მთელი შეიარაღებული ესკადრა: სამი ინგლისური ნაღმოსანი, ერთი სანაღმო კრეისერი, ერთი კრეისერი — ბაზა ჰიდროპლანებისათვის, ამერიკული და ფრანგული ნაღმოსნები, იტალიის კრეისერი. ხარტს და ქალაქს მთელი დღეები თავს დასტრიალებენ კრეისერიდან აფრენილი ჰიდროპლანები.

ოკეანის გემების მოსვლა.

ჩამოვიდენ ოკეანის გემები: „პრაგა“ და „შანონ“ უკანასკნელზე 120 სომეხი სკაუტი კონსტანტინოპოლიდან.

მილიციაში.

ბოროტმოქმედებისათვის შეპყრობილია ართვინის მილიციის უფროსის თანაშემწე ნიჟარაძე.

საბაჟოში.

ხომალდ „ალექსანდრაზე“ აღმოჩნდა კონსტანტინოპოლიდან ნებადაურთველად გამოზიდული ნავთი. გამოირკვა, რომ საბაჟოს მოხელეებს მიღებიათ ქრთამი აუღიათ.

საქონელს კონფისკაცია უყვეს, მოხელენი მიილნენ.

პ. გელეიშვილის მოგზაურობა.

მთავრობის თავმჯდომარის რწმუნებული, დამფუძნებელი კრების წევრი პ. გელეიშვილი გუშინ 27 ენკენისთვეს გაემგზავრა სპეციალური დავალებით ძანძულის და კვარცხანის ქარხნების დასათვალიერებლათ და ადგილობრივი პირობების შესასწავლად. დაწვრილებითი მოხსენება ამის შესახებ წარედგინება მთავრობას.

თავდასხმა მილიციაზე.

საგანგებო კომისარს დღეშით ატყობინებენ, რომ 27 სექტემბერს დამის 11 საათზე სოფ. კოხში. კინტრიშის რაიონში რამდენიმე კაცისაგან შემდგარი ბრბო თავს დასხმა მილიციის კომანდას და აუტეხა სროლა. სროლის დროს მოკლულ იქნა ორი მილიციონერი: ფაღავა და ლორთქიფანიძე. სასწრაფო ზომები ბრბოს წინ,აღმდეგ უკვე მიღებულია.

ვენიზელოსი პონტის შესახებ.

ვენიზელოსმა მიიღო პონტის ელინთა ნაციონალური საბჭოს პრეზიდიუმის წევრებე (ეს საბჭო ბათუმში არის) და ორ საათს ესაუბრა მათ. ვენიზელოსმა განაცხადა, რომ მთავრობა ყოველ ღონისძიებას იხმარს პონტის ელინების ოსმალეთის მონობისგან გასან თავისუფლებლად.

დაპატიმრება.

საგანგებო კომისარის ბრძანებით დაპატიმრებულ იქმნა „შუსტოვის“ ფირმის გამგე მიხეილ ფილატოვი, რომელსაც ერევანის საგანგებო სასამართლოს დადგენილებით მისჯილი აქვს სიკვდილით დასჯა ხსენებულ ფილატოვს ბრალი ედება პოლიტიკურ შპიონაჟში.

მასწავლებელთა მოთხოვნილებანი

„ქუთაისის მაზრის მასწავლებელთა კავშირს“ გაუგზავნია მთავრობისთვის შემდეგი მოთხოვნილებანი: ა. გახსნას მუშათა მაგიდა მაზრის მასწავლებელთათვის და მისცეს მათ სურსათ-სანოვაგე ისე, როგორც ქალაქის მოსამსახურეთ ეძლევა; ბ. პირველი მარტიდან ხანამ მაგიდა მოეწყობოდეს, — მიეცეს მასწავლებლებს ჯამაგირის 25 პროც. გ. გადიდებულ იქნას არსებული ჯამაგირი მასწ. 200 — 150 პროც.-ით პირველი სექტემბრიდან; დ. მოგვარებულ იქნას პენსიის საკითხი.

სამაზრო ერობის გამგეობას მოეთხოვოს: ა. სამაზრო ხმოსანთა ყრილობის მიერ გაორკეცებული 400 მან. დამატება დაურიგდეს მასწავლებლებს; ბ. ჯამაგირები ეძლეოდეს მასწავლებლებს ყოველ თვეში 5 — 10-დან არა უგვიანეს იმავე თვის 20 რიცხვისა; გ. მიეცეს სკოლების გამგეებს გასულ თვეების დანაპირები ჯილდო. ყოველივე ზემოთ აღნიშნული მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულ იქნას ვისგანაც ჯერ არს არა უგვიანეს 25 სექტემბრის, წინააღმდეგ შემთხვევაში მასწავლებელნი, სამწუხაროდ, იძულებულნი იქნებიან შესწყვიტონ მეცადინეობა სასწავლებლებში. ეს წინადადება იქნა მიღებული.

რომის პაპის დეკრეტი

ქართველ კათოლიკეთათვის ეპისკოპოს მორიონდის დანიშვნის შესახებ

დეკრეტი წ— კრების აღმოსავლეთის ეკლესიისათვის № 4.284—20.

ქართველთა ნათესავი წ—ა ტახტისათვის რაოდენი მუდმივი სიყვარულით გულთან ახლო იყო, და რაოდენად ქართველთაცა გვარი, თვით უძველეს დროთა გარემოებაში ღრმა პატივისცემით ეგებებოდა სამოციქულო ტახტს, ამას ყოველთა დროთა მრავალნი ისტორიულნი საბუთნი მრავალთ.ნაირად ადასტურებენ.

აწცა, ოდეს საბედნიეროდ დადგა ცხოვრების ახალი ვითარება, ეტყობა-რა წ—ა ტახტს სურვილი ქართველთა, რათა აქუნდეს კვლავ განცალკავებული საეკლესიო მმართველობა და ჰყავდეთ საკუთარი მწყემსი სამწყოისათვის ქრისტეს მორწმუნეთა, უაღრესია მამათა წ—ა კრებისათა, რომელიც აწ მსუფევს უმწყერვალესი მღვდელთ მთავრის მიერ აღმოსავლეთის ეკლესიისათვის საზრუნველად განწესებულ არს, ჯეროვნად და სარწმუნოებისათვის სარგოდ დაინახეს რათა იმავ საქებურა სურვილთა დაეთანხმონ.

ამისათვის არის, რომ უწმინდესმან ჟუჟალმან ჩვენმან ბენედიქტე 15-ამ პაპმან ღვთიური განგებულობით, გაწაჩენი უაღრესთა მამათა დიდის სიამოვნებით /დაადასტურა, და 8 ივნისს ა. წ. გარდასწყვიტა რათა იგი ნაწილი ტირასპოლის თემისა, რომელიც აწ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრეში მოქცეულია, გამოყოფილ იქნას დროებითი სახით ტირასპოლის ეპისკოპოსის გამგეობისაგან და დღეს ამიერ მინდობილ ექმნას მზრუნველობას პ. ც. მამა ულნატალე-გაბრიელ მორიონდოს, წესისაგან მოქადაგეთა, ციდიესის ტიტულოვანს, რომელიც ამ წ. კრების დამოკიდებულებისა ქვეშე, სახელწოდებით და თანამდებობით სამოციქულო გამგისა, წ—ა ტახტის სურვილისამებ. ბინადრობდეს ქ. თბილისში, მწყსოს და მმართოს ყველისა მიერ ყოველნი ქრისტეს მორწმუნენი და —სამღვდელონი, ეგრეცა საეროანი, ყოველისავე რიგისაგანი გარდა სომხის რიგის კათოლიკეთა რომელნიც ქვემდებარე არიან საკუთარი სამოციქულო გამგისა. აქუნდეს ყველა უფლებები, თანამდებობები, პრივილეგიები და შეძლებები, რომელნის საკუთრივ ისდა მინიჭებული არიან თუ თვით სჯულმდებისაგან და თუ კრებისაგან აღმოსავლეთის ეკლესიისათვის და იხმაროს იურისდიქცია ორდინარიული, სრული და პირდაპირი.

ამა ყოველთა ზედა უმწყერვალესმან მღვდელთ მთავარმან ბრძანა გამოცემა აწმყო დეკრეტისა ამ წ—ა კრების მიერ ამას ვერა რა წინააღმდეგობდეს.

რომი, სასახლე ხსენებული წ—ა კრებისა, 15 აგვისტოს. დღესასწაულ ღვთისმშობლის მიძინებისა 1920 წ.

კარდ. ნ. მარინის.

მდივანი იზაია პაპადოპულო, ასესსორი.

ქართული დრამა

ქართულ დრამატიულ დასის სეზონი ლევინობისთვის პირველ ნახევარში გაიხსნება.

პირველ წარმოდგენად განზრახულია „გუშინდელნი“, რომელიც ბ. ქორელის რეჟისორობით მიდის. პირველი კვირის განმავლობაში შემდეგი პიესები დაიდგმება: 1) „ოიდიპოს მეფე“ (რეჟისორი მ. ქორელი), 2) დავით კლდიაშვილის პიესები „დარისპანის გასაჭირი“ და „ირინეს ბედნიერება“ (რეჟისორი აკაკი ფაღავა), 3) „ოტელო“ (რეჟისორი აკაკი ფაღავა).

პირველი წარმოდგენისათვის („გუშინდელნი“) ორი შემადგენლობა ემზადება. ჯერ ერთი შემადგენლობა ითამაშებს, მერე—მეორე. საზოგადოდ დრამას ახალ ხელმძღვანელებს პსურთ დუბლიორების სისტემა შემოიღონ.

დეკემბრამდე რეპერტუარი უკვე განაწილებულია.

ბ. ა. ახმეტელის რეჟისორობით მზადდება „ბერდო ზმანია“ ა. შანშიაშვილისა. ვლ. მესხიშვილის რეჟისორობით — „მარიამ მაგდალინელი“ მაიზესი ბ. ა. წუწუნავა ამზადებს „დალატს“, „მსხვერპლს“ და „ქირვეული კაცის მორჯულებას“. ბ. მ. ქორელი — „მაკბეტს“, ბ-ნი აკაკი ფაღავა — „ნორა“-სა და გოლდონის „სასტუმროს დიასახლისს“.

კორესპონდენცია რაჭიდან.

რაჭაში გამოწვეულ ანარქიას შეუძენიან ფართო ხასიათი მიიღოს და გახდეს უფრო მწვავე თავისი შედეგებით. ჯიდრე ეს მოხდა ლეჩხუმის მაზრაში.

ამის მიზეზია რაჭის მაზრის ერობა, რომელსაც აბარია მთელი მართვა გამგეობა მაზრისა, იგი ვერა სხვას თავის სიმაღლეზე მან ვერასფრის გაკეთება ვერ შესძლო ამ ორი წლის განმავლობაში. მას აკლია გამოცდილება, არ შესწევს ძალა მოქმედებისა და ყველგან თვითნებობა, ბოროტმოქმედება და ძალმომრეობა სწარმოებს.

ყველაზე მწვავე საკითხი არის სასურსათო განყოფილება. რაჭა წრეულს დამშეულია. შარშან ცუდი მოსავალი იყო. ივნისამდის არც კი გაყოფილა სარჩო. ეს იცოდა ერობამ და მას მაგიერ რომ დროზე მცხოვრებლებს მისცემოდათ გამოსაკვებათ სარჩო, შეეძინათ სიმინდი, მან გასცა მილიონობით ფული: ბ. რუხაძემ წაიღო 600 ათასი მანეთი, ლობჯანიძემ კიდევ ზედმეტი და სიმინდი კი არსაიდამ გაჩნდა. ამ პირებს დღესაც არ გაუსწორებიათ ანგარიში.

სიმინდი კი, რომელსაც არიგებდა ერობა იმგვარ პირობებში უხდებოდათ მიღება მცხოვრებლებს, რომ მის მიღებას არ მიღება სჯობდა, მაგრამ მეტი გამოსავალი გზა არ იყო ძალაუნებურათ უნდა დამორჩილებოდი ყოველგვარ თვითნებობას მის მიღების დროს. ჩვენ არ შევეხებით რომელიმე პიროვნების მოქმედებას, რომელი მოქმედება ძველი ნიკოლოზის ჟანდარმის საქციელს ბევრათ სჯარბობს თავისი უხეში მოქმედებით აღვნიშნავთ იმ გარემოებას, რომ გამგე ამ განყოფილებისა ვერ ართმევს თავს თავის საქმეს, იბარებს სოფლიდან ხალხს ვერ საზღვრავს დროს იქმნება თუ არა ის მაშინ თავის ადგილზე, იმისათვის რომ მიიღოს 10 თუ 20 გირ. სიმინდი უნდა მოანდომოს რამოდენიმე დღე. ოჩის მოედანი ისე არის ხოლმე გაჭედილი სოფლიდან ჩამოსული ქალით თუ კაცით რომ იარმუკა გეგონებათ ხოლმე. უცდიან დილიდან საღამომდე, დღითი დღე, რომ მიიღონ სიმინდი ერობის სა-

ტყეობიდან და ამასობაში ცდება აუარებელი მუშა ხელი და ისიც ალოს თავზე.

საექიმო ნაწილშიც ბევრს არაჩვეულებრივ თვითნებობას აქვს ადგილი. ხალხი დროზე ვერ იღებს ექიმის რჩევას—ლნის ექიმები ძვირად დაიარებიან სოფლად მეტადრე თუ შორს დგებარ მაინც ბაზარზე და თუ გადაგიცდა დანიშნულ საათს, ვერ მიხვედი დროზე, მაშინ ვერ მიიღებ ვერც კერძოო ექიმის დარიგებას თუ კარგი პროტექციი არ გეყოლა.

ოხსნეს საფერშლო პუნქტები, როგორც უვარგისი დაწესებულება, ეს ერთის მხრით სამართლიანი და სწორი ნაბიჯი იყო ვადადგმული ერობის მხრივ, მაგრამ საუბედუროთ ჩვენდა არც ექიმის პუნქტები გახსნეს, როგორც ამას ვეპირდებოდენ და მიატოვეს სოფლები ექიმმბაშმარჩიელების ხელში.

ტეხნიკურ განყოფილების ნულარ იკითხავთ. გზები გაფუჭებულია, ხიდები დანგრეული, ბოგირები მოშლილი,

აუცილებელ საჭიროების შეიტანდა რომ პირველ ერობის გეკეთებინა ხიდი უწერაში. უწერა, როგორც საგარეკო ადგილი და მასთან მჭიდროთ დასახლებული, დღეს უხიდოდ არის. მცხოვრებლებს უხდებათ სიარული დროებით გადებულ ბოგირზედ. შარშანაც იყო მსხვერპლი და წრეულსაც გვარდიელი დაიბრჩო.

საჭიროა, რომ მდ. კრიხულაზე გაკეთდეს ხიდი, რადგან ქვემო რაჭის მარჯვენა მხარე მოწყეტილია ადმინისტრატიულ პუნქტს—ამბროლაურს და მცხოვრებლები ამ უხიდობით დიდ განსაცდელში არიან ხიდამე ჩავარდნილი. მეტადრე წყალდიდობის დროს გაზაფხულზე და შემოდგომაზე. და ამის მაგიერ ერობა აკეთებს ხიდს, ხარჯავს ფულს თავის კასიდამ, აძლევს რკინეულობას და სხვა მასალას ხიდისკარში გასაკეთებლად, სადაც იქვე 100—200 საჟენზე არის მეორე ხიდი, მაგრამ ამ ახალ ხიდს აკეთებს იმ მოსაზრებით, რომ მეტი სარგებლობა შეოუტანოს მეწისქვილე სტეფანე ბიჭაშვილს.

რა ნაწილიც არ უნდა ავიღოთ ყველაფერი სიბნელით არის მოცული. სკოლის ნაწილი გინდა, აგრონომიული, ადმინისტრატიული თუ კიდევ სხვა არსად არაფერი გაკეთებულა.

ეხლა ვიკითხოთ რას აკეთებენ ერობის მოხელეები.

ერობის თავმჯდომარე დავით ლობჯანიძე იშვიათად არის თავის ადგილზე, ის მომეტებულად ხან ქუთაისში და ხან თბილისშია, თითოს ქუთაისიდამ არის; თავის არ ყოფნის დროს რაჭაში იდებს დიდურს ერობის კასიდამ და თან გზის ხარჯსაც და ასაბუთებს იმითი, რომ ერობის საქმეზე ვარ წასულიო, მაგრამ გაკეთებით კი არა გაუკეთებიარა. მოვა ონში, ზის კაბინეთში და შაქრის ბორიოებს ამოწმებს. ერობის განკარგულებით შაქარი არ ეძლევათ მცხოვრებლებს, თუ მას ავადმყოფი არ ეყოლება, იმისთვის ვისაც უნდა მიიღოს შაქარი, უნდა მიმართოს ექიმს, ექიმი აძლევს ზეპირად მიწმობას, რომ მას ყავს მწოლიარე ავადმყოფი და ამ მოწმობას ამოწმებს ერობის თავმჯდომარე.

ყაჩაღებით ხომ სავსეა რაჭა. თავისუფლად ვერსად გაივლი, საშიშოა ან გაგცარცვავენ ან მოგკლავენ; ენკენისთვის 9 მოკლეს ფოსტალიონი და ერთი მგზავრი ყაჩაღებმა, რომელნიც დაეცვნ ონში მომავალ ფოსტას. შქმერის მთაზე 12-ში გაცარცვეს 40 მგზავრი და წაართვეს ყაჩაღებმა რაც მათ გააჩნდათ ოსეთის პანამამ ხომ სულ გამოაშკარავა ერობის უმოქმედობა და საქმის დაუდევრობა. ერობის განკარგულებით ოსეთში გაიგზავნა კომისია საქმის მოსაწესრიგებლად. ამ კომისიის რწმუნებულებმა საქმე მოიწესრიგეს თავის სასარგებლოდ და ჩაიდინეს ბევრი ბოროტ-მოქმედება. რაც იქნა გამომძღავნებული დამფუძნებელი კრების წევრის მიერ. ორი რწმუნებული კაციტაძე და ჯაპიძე უკვე ზიან საპყრობილეში. დანარჩენების საქმე გადაეცა საგანგებო გამომძიებელს.

რაჭველი.

ქ. ახალციხიდან

რაბათის სამკითხველო.

ახალციხის ძველი ნაწილის „რაბათის“ ქართული სამკითხველო, დღიდან მისი დაარსებისა (1895 წ. 27-ს. მარიობისთვისა), ჭაპანწყვეტით გწევს მძიმე უღელს.

აქაური მცხოვრებნი, ისედაც დაჩაგრულნი, უკიდურეს სიღარიბეში ჩაცვივდნენ ოსმალებისა და სერვერ ბეგის ბანდების შემოსევის დროს. ახლო მომავალშიც არ არის იმედი, რომ ელში გაიმართონ.

უგზო-უკვლობამ და უწყლობამ ხელი შეუწყო რაბათის მცხოვრებთაგან დაცალიერებას და ვაჭრობის გაჩანაგებას. პროექტი „ენთელის“ წყლის გამოყვანისა. უკვე დადასტურებული დამფუძნებელ კრებისაგან, ცოტაოდენ მალამოს დასდებს, თუ კი დროით განხორციელდა.

ამისთანა მდგომარეობაში განსაკუთრებით ძნელია სამკითხველოს გაძღოლა, ეკონომიური და ინტელიგენტურ ძალების ნაკლებულობის გამო. რაბათის მკერერიცხოვანი ინტელიგენცია ჯერ კიდევ არ არის მჭიდროთ შეკავშირებული, ლუკმა პურის შოვნისათვის წელზე ფეხს იდგამს და სხვა ველარაფრისთვის მოუცლია. ამის თვალსაჩინოთ დამამტკიცებლათ ისიც კმარა რომ სამკითხველოს წლიურ კრებისთვის ბარე ათჯერ დაიგზავნა უწყება და ერთხელაც ვერ ველირსეთ შეკუნებულ ინტელიგენციის შეთვალიერებას.

რა საკვირველია, ამისთანა ატმოსფერაში, სამკითხველო ვერ იქნება სათანადო დონეზე დაყენებული, და რომ არ ყოფილიყო წინეებზე როზალია ალელიშვილისა, და ეხლა ანნეკა ვმიშვილის მაცადინეობა, სამკითხველო კიჟეც დაიკეტებოდა. ამითი ოთხნობით იდგმება ხოლმე წარმოდგენები, რაც ბემოსავლის ერთათ ერთ წყაროს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ გარდა ადგილობრივ სცენის მოყვარეთა, ჩამოსულებიც სიამოვნებით ღებულობენ მონაწილეობას, მაგალითათ: მიმდინარე წლის 27 ივლისს, მაიორ სტეფანე იაკობის ძე კურაშვილის ინიციატივით მერვე ათასეულის სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს ყაზბეგის „ყაჩაღი არსენა“ რომლიდგანაც წმინდა შემოსავალი დარჩა 4727 მან. მადლობის დირსნი არიან საქართველოს მეომარნი, რომელნიც თავ თავის დროზე ბრძოლის ველზეც ამშვენებენ და სათეატრო სცენასაც. იმედია მერვე ათასეულის მაგალითი გამოძახილს გამოიწვევს; ამას მით უფრო მოველით ეხლა, როდესაც რაბათის აქნობამდე ჩამომტირალი და დადუმებული ქალაქი გაივსო მხიარული ჯარის კაცებით.

სამკითხველოს მეადამ მზათ უნდა ჰქონდეს მათთვის ახალ-ახალი ჟურნალ-გაზეთები და წიგნები.

მხედარი.

დუშეთის საქმეები

შეკითხვა სენატს.

რას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ სენატორულ რევიზიის დროს ბ. როინიშვილის მიერ პასუხის გებაში მიცემული ს. ს. დანაშაულობათა გამო დუშეთის მაზრის ერობის თავმჯდომარე ჭონიშვილი დღესაც ბრძანებლობს დუშეთის მაზრაში უწინდელ ადგილზე?!

სახელმწიფო იარაღის გაყიდვისათვის და მობილიზაციით ჩამორთმეულ ცხენის მითვისებისათვის პასუხის გებაში მიცემული ალ. სარჯველაძე რად არის ახლაც დუშეთის მაზრის მილიციის უფროსად?!

რაშია საქმე? სასამართლოს ხელფეხი შებორკილი ხომ არა აქვს და პროკურატურა სხვის კარნახით ხომ არ მოქმედობს?!

თომა ჩიქვანაია.

——

დუშეთის სოც.-დემ. კომიტეტს

გიწვევთ ინტერპარტიულ სამედიატორო სასამართლოში კომიტეტის პრეზიდიუმის მთელ შემადგენლობას და განსაკუთრებით მის თავმჯდომარე ბ. კალანდარაშვილს.

ვამტკიცებ, რომ ს.-დ. კომიტეტი უდიერად ჩაერია მაზრის მილიციის და ადმინისტრაციის საქმეებში და აწყობილი ადმინისტრატიული აპარატი დაშალა პირადი ქინაობის დასაკმაყოფილებლად.

გაბგეობის ყ. წევრის ლ. ფარნიეგის მაგიდის ყუთი გაიღეს შერჩეული გასაღებით და ბ. ფარნიეგის პროგონეის საბუთებს ადგილ-ადგილ საჭირო საბუთები მოიპარეს.

სამაზრო პარტიული კომიტეტის დადგენილების თანახმად დაიპატიჟეს პატიოსანი ადმინისტრატორები და ჩაიყენეს მილიციის სათავეში ს. ს. ხახიათის დანაშაულობათა ჩამდენი.

დუშეთის ს. დ. კომიტეტის თავმჯდომარე კალანდარაშვილი დაბეშუქრა მე დაპატიმრებით 1 ოქ. 1920 წ. სამინისტროს შენობაში და მითხრა: „მინისტრიც და პროკურორიც მე ვარო“!

სიმედო შუშაკები (ს.-დ.—ბიეგ) გამოდგენა მაზრიდან და სცდილობს „კლიაოზობით“ ამ პირების გაშვებას.

სასამართლო შეხდგეს თბილისში 23 ოქტომბერს ა. წ. თითო პოლიტიკური პარტიიდან წარმომადგენლები იქნება.

მიპასუხეთ გაზ: „ნაციონალისტშივე“ ერთი კვირის განმავლობაში.

პირდაპირ სთქვით ხართ თუ არა მზათ წარდგეთ პირუთვნელ ხალხურ სამსჯავროს წინაშე. —

თომა ჩიქვანაია.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი: გრ. ვეშაპელი
სამხ. სამ. სტამბა, ლორის-მელიქ., 3

კორესპოდენტებს და თანამშრომელთ

რომელნიც მოდმიეთ აწყობიან რედაქციას წერილებს ჰროვინციის (ოფლისა და ქალაქ-დაბების) ცხოვრების შესახებ, ეგზავნებათ უფასოდ გაზეთი

კორესპოდენციები უნდა იყოს მოკლე და იწერებოდეს ნამდვილი ცნობების, ფაქტების შესახებ.

მატარეგლების მიმოსვლა

თბილისიდან მიდის		
ბორჯომამდის	№ 17	7. 52
ბორჯომში ჩადის		2. 09
ფოთამდის	№ 3	9. 56
ფოთში ჩადის		10. 20
ბორჯომამდის	№ 19	2. 30
ბორჯომში ჩადის		8. 00
ბათუმამდის	№ 17	8. 00
ბათუმში ჩადის		9. 00
ბათუმამდის ჩქარი	№ 5	11. 44
ბათუმში ჩადის		11. 27
[illegible]ამდის		8. 30
ქუთაისამდის	№ 9	9. 50
ქუთაისში ჩადის		0. 00
[illegible]ამდის		1. 40
[illegible]		10. 10

თბილისში მოდის		
ბორჯომიდან	№ 20	12. 30
თფილისში მოდის		6. 30
ქუთაისიდან	№ 12	11. 47
თფილისში მოდის		9. 30
ბათუმიდან ჩქარი	№ 6	11. 00
თფილისში მოდის		12. 10
ბათუმიდან	№ 8	3. 55
თფილისში მოდის		7. 44
ფოთიდან	№ 4	8. 27
თფილისში მოდის		7. 45
[illegible]ადან		7. 00
[illegible]ან		11. 30
[illegible]		4. 22